განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

2014 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (შემდგომში - კოდექსი). აღნიშნული კოდექსის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ხოლო თვითმმართველ ერთეულს კოდექსი უწოდებს მუნიციპალიტეტს, რომელსაც გააჩნია ორგანოები. აღნიშნულის გათვალისწინებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში - კანონი), ნაცვლად „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსი“, გამოყენებულ უნდა იქნეს ტერმინი „მუნიციპალიტეტი“.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადების მიზანია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ, ტერმინის „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო “ ტერმინით „მუნიციპალიტეტით“ შეცვლა, ვინაიდან, კოდექსის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, რომელიც ხორციელდება თვითმმართველ ერთეულში, ხოლო თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელიც არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურდიული პირი. მუნიციპალიტეტს ჰყავს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები. წარმომადგენლობითი ორგანო არის საკრებული, ხოლო აღმასრულებელი ორგანო არის გამგებელი/მერი. შესაბამისად, პირი არ არის დასაქმებული მუნიციპალიტეტის ორგანოში. შესაბამისად, მიზანშეწონილი კანონში, ტერმინის „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს“ ნაცვლად გამოყენებულ იქნეს ტერმინი „მუნიციპალიტეტი“.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები ითვალისწინებს კანონის შესაბამისი მუხლის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანას, კერძოდ, ტერმინის „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო“ ტერმინით „მუნიციპალიტეტი“ შეცვლა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ცვლილებას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი
საქართველოს პარლამენტის წევრები: ე. ტრიპოლსკი, კ. კოპალიანი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი
საქართველოს პარლამენტის წევრები: ე. ტრიპოლსკი, კ. კოპალიანი.